



სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო



KA000035236475921

თბილისი

09 / თებერვალი / 2021 წ.

№ 9/ს

ბრძანება

სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ, 2021 წელს განსახორციელებელი საგრანტო კონკურსის ჩატარების მიზნით, „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის“ პროგრამის „ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის არსობრივი ნაწილის, გრანტების გაცემის წესისა და საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ახალგაზრდობის სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 აგვისტოს N411 დადგენილების 2² მუხლის, ამავე დადგენილებით დამტკიცებული სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის; ასევე სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის II კატეგორ. უფროსი სპეციალისტის (საგრანტო მიმართულებით) - ნინო ხაზარაძის 2021 წლის 8 თებერვლის N02/110 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ 2021 წელს განსახორციელებელი საგრანტო კონკურსის ჩატარების მიზნით, დამტკიცდეს სააგენტოს „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის“ პროგრამის „ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის არსობრივი ნაწილი წინამდებარე ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის“ პროგრამის „ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, 2021 წელს გრანტების გაცემის წესი და საგრანტო კონკურსის დებულება წინამდებარე ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ, 2020 წელს განსახორციელებელი საგრანტო კონკურსის ჩატარების მიზნით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის არსობრივი ნაწილის, გრანტების გაცემის წესისა და საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს ხელმძღვანელის 2020 წლის 12 თებერვლის N26/ს ბრძანება;
4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა;
5. წინამდებარე ბრძანება, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64);
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ-ის „ახალგაზრდობის სააგენტო“
სააგენტოს ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად

რევაზ ჩარკვიანი